ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N38

2018 წლის 21 თებერვალი
ქ.ქობულეთი

შპს ,,მაგთიკომი"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა შპს ,,მაგთიკომს" ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძებზე ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საჰაერო გზით გაყვანის მარშრუტისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საჰაერო გზით გაყვანის მარშრუტისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი

შპს "მაგთიკომი"
q. Tbilisi, ana politkovskaias q. #7
tel. 032 217 00 00 an 110011



პირობითი აღნიშვნები:

——საჰაერო ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელი



მისამართი:	ქ. ქობულეთი	
პროექტის მენეჯერი	პროექტირების მენეჯერი	ზ. ჯაფარიძე
ტერიტორიის საველე მოკვლევა	პროექტირების ინჟინერი	
კომპ. უზრ.	პროექტირების კომპ. უზრუნველყოფის ინჟინერი	ა. ტყეშელაშვილი

	N W E S
შესრ. თარიღი: 21.12.2017	მასშტაბი: 1:40,000